ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ჯაბა სამუშიას ინფორმაცია 2017 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული

სამუშაოების შესახებ

2017 წლიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე თბილისის საკრებულოს 19 სხდომაში , სადაც განვიხილეთ 488 საკითხი. მიღებულია 68 დადგენილება და 420 განკარგულება.

საკრებულოს სხდომების გარდა მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

1.ფრაქცია ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსათვის" - 10 სხდომა

2. სახელდებისა და სიმბოლოკის კომისია - 8 სხდომა შესწავლილია 129 საკითხი

3. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 24 სხდომა, შესწავლილია 167 საკითხი

ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი - 8 სხდომა, სადაც განხილული იქნა 47 საკითხი.

ასევე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი.

ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაზე განხილული და შესწავლილი იქნა 167 საკითხი, რომლებზედაც გაკეთებულია კომისიის დასკვნები.

- მ.შ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მხოლოდ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა _ 19 წერილი.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ" საკრებულოს პროექტი - 5 პროექტი

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების შესახებ - (3 თვე, 6 თვე)
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესში". ცვლილების პროექტი.
- სხვადასხვა კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემაზე თანხმობის შესახებ პროექტები.
- თბილისის მერიასა და სხვადასხვა კომპანიებს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებში ცვლილებების შეტანასთან ან პირობების გაუქმებასთან დაკავშირებით საკითხები.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (მ2 და მ3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამჰგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების მოძრაობის მარშრუტების დადგენის თაობაზე.
- „საქართველოს დედაქალაქის -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მ3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგავრო გადაყვანისას,საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით იქნება 2,5 ლარი, ნაცვლად არსებული 1 ლარისა,ხოლო საბაგირო

გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას ველოსიპედის ერთი მიმართულებით გადატანის ტარიფი დამტკიცდა 1,0 ლარი. ასევე უქმდება მოქმედი დადგენილებით გათვალისწინებული დადგენილი კატეგორიების უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლება. მიღებული შემოსავლებით მოხდება კაპიტალური რემონტების შეუფერხებლად ჩატარება და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვა. არ გახდება საჭირო ბიუჯეტიდან შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების ყოველწლიური ანაზღაურება 160,0 ათასი ლარის ოდენობით.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ კოოპერატივის წევრთა დაკმაყოფილება , მათზე სიმბოლურ ფასად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების/მიწის ნაკვეთის გადაცემა.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის შესახებ.

ჩემი, როგორც ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ იურიდიული განყოფილების უფროსი და მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი. სამუშაო შეხვედრაზე პირველი ინსტანციის მიერ დაკმაყოფილებული მოქალაქეთა ჯგუფის სასარჩელო მოთხოვნები იქნა განხილული, რის მიხედვითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის #17-66 დადგენილების შესაბამისად, მოსარჩელეებისათვის უძრავი ქონების დათმობის სანაცვლოდ ფულადი თანხის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება დაევალა.

საკითხის უკეთ შესწავლისა და მეტი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით კიდევ რამოდენიმე შეხვედრა შედგა.

ჩემი ინიციატივით დედაქლაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში გაიმართა შეხვედრები, რომელზეც საკრებულოს წევრებმა თბილისში კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე ვიმსჯელეთ. შეხვედრას თბილისის მერის მოადგილე , ქონების მართვის სააგენტოს უფროსი , თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრები ესწრებოდნენ.

კოოპერატიული ბიმათმშენებლობით დაზარალებულ მოქალაქეებთან შეხვედრები შედგა როგორც საკრებულოში ისე თემქის სამაჟორიტარო ბიუროში. ჩემი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიწყო ეტაპობრივად მათი პრობლემების გადაჭრა. სიმბოლურ ფასად გადაეცათ კოოპერატივის წევრებს გლდანში 6542 კვმ მიწის ნაკვეთი (35 ოჯახი); საბურთალოს ქუჩაზე- 246 კვმ მიწის ნალვეთი- 5 ოჯახს; ნუცუბიძის ქუჩაზე, მხატვრების დასახლების მიმდებარედ 13014 კვმ მიწის ნაკვეთი - 65 ოჯახს. ჯამში გადაცემულია 19 802 კვმ მიწის ნაკვეთი 105 ოჯახზე.

საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული ბავშვთა სამყაროს ხანძრის შედეგად დაზარალებულებთან შეხვედრებში. ჩვენი და მერიის ერთობლივი მუშაობის შედეგად მილიონი ლარი გამოიყო მერის სარეზერვო ფონდიდან.

შეხვედრები მოსახლეობასთან

შეხვედრა შედგა ნაძალადევის რაიონში, მონადარის ქუჩის მაცხოვრებლებთან. აღნიშნული ქუჩის პრობლემა იყო წლების მანძილზე საკანალიზაციო სისტემის არარსებობა და გზის საფარის დაგება. მოსახლეობის ნაწილს საკანალიზაციო სისტემა კუსტარულად ჰქონდა მოწყობილი, რაც მეზობელ სახლებსა და ქუჩებს საფრთხეს უქმნიდა. ჩემი ინიციატივით და შუამდგომლობით გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა. ამჟამად მიმდინარეობს გზის საფარის დაგება.

მოსახლეობასთან სისტემატიური შეხვედრების დროს გამოიკვეთა საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებისა და გზის საფარის დაგების პრობლემა ავშნისა და ნუშის ქუჩებზე. ჩემი დახმარებით და შუამდგომლობით აღნიშნულ ქუჩებზე დაიგეგმა "საკანალიზაციო სისტემის და გზის საფარის მოწესრიგების ღონისძიებები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად პრობლემები მთლიანად მოგვარდა.

ურეკის ჩიხის მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრებისა და საუბრების დროს გამოიკვეთა პრობლემები : სასმელი წყლის მილების შეცვლა და გზის საფარის დაგება. ორივე პრობლემა ჩემი შუამდგომლობით და მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურისა და გამგეობის მიერ დაკმაყოფილებულია.

აქტიურად ჩავერიე და კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა გუდამაყრის ქუჩას. სამუშაოები ტარდება ასევე თემქის ცენტრალურ გზებსა და შიდაკვარტალურ ეზოებში.

თემქის მოსახლეობასთან სისტემატიური შეხვედრების დროს წამოჭრილი პრობლემების შედეგად გაკეთდა ბევრი შიდა კვარტალური გზა. დაიგო შიდა საუბნო გზები,ჩატარდა ორმული გზების და ბორდიულების შეკეთება; გამოიცვალა და შეკეთდა ბრტყელი სახურავი და ქანობიანი სახურავი 2 კორპუსში; სადარბაზოს შიდა რემონტი ; კიბეების აღდგენა მოხდა 4 კორპუსში; წყალსაწრეტი მილები გამოიცვალა რამდენიმე კორპუსში; 8 კორპუსში შეკეთდა ლიფტი. რამოდენიმე ობიექტზე დამონტაჟდა სადარბაზოების სენსორული განათება. სკვერებში განხორციელდა საბაღე სკამის დამზადება-მონტაჟის სამუშაები.

ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით რამდენიმე კორპუსი აღჭურვილი იქნა შშმ პირთა პანდუსებით შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.

შეკეთდა ქუჩები: ურეკის ქუჩა; ხევძმარის ქუჩა; გურამიშვილის ქუჩა; ავშნის ქუჩა; ნუშის ქუჩა, მონადირის ქუჩები. სისტემატიურად ვახორციელებდი აღნიშნულ ქუჩებზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად.

სამუშაოები შესრულდა შემდეგ მისამართებზე: გზის სავალ ნაწილზე ჩატარდა ასფალტის საფარის დაზიანებული ნაწილის ფრაგმენტული შეკეთების, ტროტუარების და ბორდიურების შეკეთების სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ზღვის უბნის მე-11მ/რ, 1 კვ. მე-2 და მე-3 კორპ. ეზო; მე-2კვ. კორპ. 22ა-ს ეზო; ზღვის უბნის მე-3მ/რ, მე-3 კვ.კორპ. 43-ს მიმდებარე ტერირორია; თემქის მე-11მ/რ 1კვ N7ა,N10 და N11-N13 კორპუსებს შორის გამავალი გზა; ხევძმარის ქ.N32; გზის ორმოული შეკეთებები შესრულდა თემქა მე-4 მ/რ, მე-2 კორპუსი; თემქა მე-4მ/რ, 3გ კორპუსის ეზო; თემქა მე-4 მ/რ, N5ა კორპუსის მიმდებარედ; ზღვის უბნის მე-3 მ/რ. 10-16კორპ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-11კვ. N46 მ/ტ; შატილის ქ. N7 მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 1 კვ. 7კ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 5 კვ. 14-16 კ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-4მ/რ. N8 კორპ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 2 კვ. N26-27-34კ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-

11მ/რ, 3 კვ. N50-56კ. ზღვის უბნის მე-4მ/რ. N2კორპ. ეზოს უკანა ნაწილი; ზღვის უბნის მე-4მ/რ. N1კორპ. ეზო; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 3 კვ. N50.

ჩემი ინიციატივით და შუამდგომლობით, განახლდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სკვერს: მე-5 კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე და ანაპის ქუჩაზე. ზღვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერს, რომელსაც პირველადი ფუქნცია დაკარგული ჰქონდა და 90 -იანი წლების შემდეგ ავტოსადგომად იყო ქცეული, ჩემი და რაიონის გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით ჩაუტარდა რეაბილიტაცია და სრულად აღდგა. მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკვერში არსებულ შადრევანს.

სპორტული მოედანი გაიხსნა ზღვის უბნის მე-3 მ,რ-ის მე-2 კვარტლის 33 კორპუსის წინ. ასევე რაებილიტაცია ჩაუტარდა მიმდებარე ტერიტორიაზე , მე-3 მ.რ მე-2 კვარტლის 31 --ე და 32-ე კორპუსებს შორის მდებარე მეორე სტადიონსაც

თემქის მოსახლეობა წლების მანძლზე ითხოვდა ბავშვების გასართობად სივრცის გამოყოფას, სადაც ისინი შეძლებდნენ ჯანსაღი წესით ცხოვრებას. ჩემი და რაიონის გამგეობის ინიციატივით, თემქაზე III მ/რ-ის, V კვარტლის, მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროცესში გამაგრდა სტადიონის კონსტრუქცია , შეიცვალა შიდა დიზაინი, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი და მოწესრიგსდა სავარჯიშო ინვენტარი. ზოგიერთ სპორტულ მოედანზე განახლდა მოედნების კარები და საკალათბურთო ფარები, ხოლო არსებული ლითონ-კონსტრუქცია, თანამედროვე ლითონისა და პლასტმასის შერეული კონსტრუქციით შეიცვალა.

გარდა ამისა თემქაზე - მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ დაწყებულია მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც მოეწყობა კრივის არენა, საჭიდაო მოედანი, და განთავსდება დიდი და საშუალო ზომის დახურული ტიპის საცურაო აუზები. სპორტული კომპლექსის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება 2017 წელს. მსგავსი მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი თემქაზე ამ დრომდე არ არსებობს.

თემქის მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრების დროს მწვავედ დადგა საკითხი საბავშვო ბაღების სიმცირესთან დაკავშირებით. ჩემი ინიციატივით, თემქის მე- 9 კვარტალში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი.

2017 წელს ჩემი და ნაძალადევის რაიონის გამგეობლის გიორგი ხელაძის ინიციატივით თემქას კიდევ 15 სკვერი შეემატება, დავათვალიერეთ ის ადგილები, სადაც სამომავლოდ

რამდენიმე სკვერის მოწყობა იგეგმება. მივმართავთ აღნიშნული ზონების სტატუსის შეცვლის მოთხოვნით, დედაქალაქის მერიას შესაბამის სამსახურს და შემდგომ აღნიშნული სკვერების სახელდების მიზნით, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას. ასევე ნაძალადევის რაიონის გამგებელთან ერთად დავათვალიერეთ თემქაზე მდებარე სკვერი , სადაც უახლოეს მომავალში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

სისტემატიური შეხვედრები მაქვს შეხვედრებო მოსახლეობასთან დღემდე.

სამაჟორიტარო ბიურო

საკრებულოსა და დეპუტატის სამაჟორიტარო ბიუროში 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე მივიღე 556 მოქალაქე, აქედან 109 მოქალაქეს გაეწია დახმარება მედიკამენტების შესაძენად, ოპერაციული მკურნალობისა და ტომოგრაფიული კვლევებისათვის, ჩემი შუამდგომლობით სხვადასხვა სამსახურში დასაქმდა დაახლოებით 5 ადამიანი, სხვა დანარჩენ მოქალაქეს, მ.შ. 250-მდე თბილისის მუნიციპალიტეტის სხვა რაიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწიათ კონსულტაციები და შუამდგომლობები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

გარდა საკრებულოსი, ყოველი კვირის ოთხშაბათს შეხვედრები იმართება მოსახლეობასთან სამაჟორიტარო ბიუროში. ასევე ხდება გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან მათ მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარების მიზნით.

საქველმოქმედო ღონისძიებები:

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, თემქაზე შევხდი რამდენიმე უფასო სასადილოს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს საახალწლო ნობათი გადავეცით. სასაჩუქრე ნაკრები, რომელიც 13 დასახელების პროდუქტს შეიცავდა, 2000 სოციალურად დაუცველ პირს გადეცა.

შევხვდი ამავე რაიონში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს. მათ ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი მივულოცე და გამგეობის სახელით ნობათი გადავეცი.

ჩემი ორგანიზებითა და დედაქალაქის მერიის დაფინანსებით, თემქის ხანდაზმულთა პანსიონატში გაიმართა „მოძრავი ფილარმონიის " კონცერტი. „მოძრავი ფილარმონიის"

ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მსგავსი ღონისძიებები დედაქალაქის სხვა უბნებშიც ჩატარდა.

კომპანია „ზედაზენთან" და ანსამბლ „ივერიის" მომღერლებთან ერთად, ცენტრი „ანიკა„-ს შ.შ.მ ბავშვებს, ბავშვთა საერთაშორისო დღე მივულოცე და მათ საჩუქრად სახატავი და საძერწი მასალები, ასევე ცენტრის ლოგოთი გაფორმებული ტორტი გადავეცით.

სისტემატიური ურთიერთობა მაქვს ცენტრ „ანიკას"სთან. ერთერთი მორიგი ვიზიტის დროს მათ ,,ბარამბოსა'' და ,,ზედაზენის'' მიერ წარმოებული პროდუქცია-ტკბილეული და ნატურალური წვენები საჩუქრად გადაცათ.

ვეწვიე წყნეთში ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის ზაფხულის ბანაკს და მოსწავლეებს წავუკითხე ლექცია თემაზე - ,,თბილისი- წარსული და თანამედროვეობა''. აღნიშნულ პროექტში, რომელიც თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ დაფინანსდა, 35 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. 4 დღიანი პროექტის ˙ფარგლებში ახალგაზრდებმა ცნობილი ისტორიკოსების ლექციებიც მოისმინეს და ცნობილი ვიკიპედიელის ჯაბა ლაბაძისგან ტექნიკური ხასიათის სწავლების კურსი გაიარეს.

მერიის მუნიციპალური საწარმოს ,,სინათლის ქალაქის" ხელმძღვანელთან და მაჟორიტარი ბიუროს თანამშრომლებთან ერთად ვეწვიეთ თემქის მოხუცთა თავშესაფრის ბინადრებს დედის დღის მისალოცად და მარტოხელა მოხუცებს საჩუქრად საყოფაცხოვრებო ნივთები, ტკბილეული და ყვავილები გადავეცით . ჩვენი ვიზიტით შევეცადეთ ამ ადამიანებისთვის დედის დღე გაგველამაზებინა. აუცილებელია, მოხუცებს მარტოობა არ ვაგრძნობინოთ და ყოველთვის ვიზრუნოთ მათზე.

ბიუროს თანამშრომლებთან ერთად, სამაჟორიტარო ბიუროში ტრადიციულად მიღებაზე მისულ მოქალაქეებს სიურპრიზი დავახვედრეთ. ახალი წლის დადგომა მივულოცეთ და სპეციალურად მათთვის დამზადებული საახალწლო ნობათები გადავეცით.

სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ თამარ ტალიაშვილთან ერთად ფოტო ექსპოზიციის ,,საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები" გახსნას დავესწარი. ღონისძიებაზე, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა წარმოდგენილი იყო საქართველოს და ევროპის

ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო თანამშრომლობის, ასევე მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობების ამსახველი ისტორიულ-დოკუმენტური მასალა. ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ზაზა აბაშიძე და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ვუმასპინძლე საზოგადოების „ფერეიდანი" წარმომადგენლებს და მწერალს მელიქ რაჰიმს (რამიშვილი). სტუმრებმა დეპუტატს მელიქ რაჰიმის ოთხი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით შუამდგომლობის თხოვნით მომმართეს. როგორც მათ განაცხადეს, აღნიშნული ლიტერატურა ირანში სპარსულ ენაზე გამოიცა და ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებასა და ისტორიას ასახავს. შეხვედრის დასასრულს, მათ სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ და ჩმი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღვუთქვი.

მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ქართველოლოგიურ კონგრესში - „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები" . ქართველოლოგიური კონგრესი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ არის ორგანიზებული. კონგრესის ფარგლებში, წაბრედექი საქართველოს ისტორიისა და რელიგიის სექციაში მოხსენებით:„საქართველო-შირვანის ურთიერთობა XII საუკუნის I მეოთხედში" ..

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან , დედაქალაქის მერთან და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებთან , EBRD-ისა და კომპანია „Man Truck and Bus AG"-ის წარმომადგენლებთან ერთად სასტუმროს „რადისონი" მიმდებარე ტერიტორიაზე დავესწარი MAN -ის 10 ახალი ავტობუსის პრეზენტაციას. პროექტი მთლიანად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიის შერჩევა ტენდერის მეშვეობით სწორედ EBRD-ის საერთაშორისო წესების შესაბამისად განხორციელდა.
10 ახალი ავტობუსი ბაგებიდან ორბელიანის მოედნის მიმართულებით მოძრავ N61 ავტობუსის ხაზზე დაინიშნა, აქამდე აღნიშნულ მარშრუტზე მოძრავი ავტობუსები კი სხვა ხაზებზე გადანაწილდა, მეორე ეტაპზე ახალი ავტობუსები N 51 ხაზს დაემატება.
თბილისის მერიას ავტობუსების პარკის განახლების 4-წლიანი გეგმა აქვს, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და პარკის ეკოლოგიურად სუფთა, ადაპტირებული ავტობუსებით სრულად განახლებას ითვალისწინებს.
ღონისძიებას, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, დედაქალაქის მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელები ესწრებოდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად დავესწარი კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ 2016 წელს გამოცემული წიგნების პრეზენტაციას. ღონისძიება, რომლის მიზანი საზოგადოებისათვის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგების სამეცნიერო სახით წარდგენაა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.
საქართველოში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავია, რომელიც სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, განვითარებას და ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი ვეწვიე ნუნუ ავაგუმაშვილის კერძო საშუალო სკოლას და დაწყებითი კლასის მოსწავლეების მიერ 25 თებერვლისადმი მიძღვნილ წარმოდგენას დავესწარი. ღონისძიებაზე ბავშვებმა სამშობლოს დამოუკიდებლობის ბრძოლისთვის დაღუპული ქალბატონის მარო მაყაშვილის გმირობის შესახებ ისაუბრეს და მისი წერილები წაიკითხეს.
იმავე დღეს სკოლაში ჩემი პროექტის - ,,საქართველოს ილუსტრირებული ისტორია'' და ჟურნალის ,,ისტორიანი'' პრეზენტაციაც მოეწყო, რომელიც გამომცემლობასთან „პალიტრა L" ერთად განვახორციელე. ღონისძიების დასასრულს, 1921 წლის თებერვალში განვითარებული მოვლენები განვიხილეთ და მოსწავლეებს აღნიშნულ პერიდში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მივაწოდე.

მონაწილეობა მივიღე ივანე ჯავახიშვილის 140 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში- „ქართველოლოგია: წარსული,აწმყო და მომავალი". ამავდროულად ვხელმძღვანელობდი კონფერენციის ერთერთ სექციას. ღონისძიებას პროფესორები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ისტორიკოსები, ფილოლოგები და სტუდენტები ესწრებოდნენ.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის პირველი მოადგილესთან და ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან ერთად დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩს დავესწარი, რომლის შედეგად ევრო/აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის შეხვედრები საქართველოსა და ლიტვას შორის მზიურის ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდა.
„დევისის თასზე" საქართველოს ნაკრების ღირსებას ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, ზურაბ ტყემალაძე და ვაჟა შუბლაძე იცავდა.

როგორც საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შეეხვდი NDI-სა და IRI-ს წარმომადგენლებს. მათ მოსამართლის ნატა ნაზღაიძის ძმისთვის სტიქიის ზონაში მდებარე ნაკვეთზე კომპენსაციის სახით მილიონი ლარის გაცემის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია მივაწოდე.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთან დავით უთმელიძესთან ერთად მონაწილეობა მივიღე ბათუმში USAID-ს და ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარში.

სემინარზე, რომლის მიზანი მსმენელთათვის ბიუჯეტის ფორმირებისას ონლაინ საშუალებების ევროპული გამოცდილების გაზიარება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გამოყენების საკითხის გაცნობაა, ბიუჯეტის დაგეგმვის, სხვადასხვა ეტაპების, მოსალოდნელი სირთულეების და დანერგვის თავისებურების შესახებ ვისაუბრეთ.
აღნიშნული პროექტი ასევე ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე USAID/GGI-ის მსგავსი სააგენტოების მხარდაჭერას და ამასთან, ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხელისუფლების პრინციპების დაცვას და ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებს.

შეხვედრა მოვაწყვე ქართულ-ამერიკულ სკოლაში და წავიკითხე ლექცია მოსწავლეებთან , თემაზე 'საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში'. შეხვედრის მეორე ნაწილი კითხვა პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.ღოსნიძიება, რომელიც საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციასა და მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებას ისახავდა მიზნად, სპეციალური პროგრამის ნაწილი იყო, რომლის საშუალებითაც ქართულ-ამერიკული სკოლა ახალგაზრდებს სხვადასხვა პროფესიების წარმატებულ წარმომადგენელბთან შეხვედრის საშუალებას აძლევს.

დავესწარი შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ორგანიზებით, შსს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში წიგნების ,,თულნი'' და ,,ბოლშევიკების თვალით დანახული საქართველოს ოკუპაცია '' პრეზენტაციას, რომელსაც შსს მინისტრის მოადგილეები დავით ვარდიაშვილი და მერაბ მალანია, ასევე არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი, დაღუპულ იუნკერთა შთამომავლები და მეცნიერები ესწრებოდნენ. იმავე დღეს გაიმართა უნიკალურ დოკუმენტურ მასალაზე შექმნილი ფილმის ,,საქართველოს გასაბჭოება'' ჩვენება.

მიღებული მაქვს მონაწილეობა სხვადასხვა სამთავრობო და მეცნიერულ კამათებში. გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ყველა ჩემი აქტივობა სრულად განთავსებულია საკრებულოს ვებგვერდზე და FACEBOOk--ის ჩემს ოფიციალურ გვერდზე

თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი ჯაბა სამუშია